საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 2 24 00221699

03/10/2024

ბატონ **მათე კონჯარიას**

ტელეფონი: 555 00 02 13
ელფოსტა: foi+request-3189-0fcb93c7@askgov.ge

ბატონო მათე,

2024 წლის 23 სექტემბრის განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან, სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ხარჯი არ გაუწევია.

აქვე გაცნობებთ, რომ 2021-2023 წლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით, სხვადასხვა უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების შეხვედრები, რომლებიც ეხებოდა კორუფციისა და სამოხელეო დანაშაულების პრევენციის, გამოვლენის, აღკვეთისა და გამოძიების საკითხებს სამსახურის კომპეტენციის შესაბამისად. საერთო ჯამში გაიმართა 10 საინფორმაციო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 300-მა საჯარო მოხელემ.

საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოცდილმა ექსპერტებმა. ღონისძიებები განხორციელდა საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადენლობის მხარდაჭერით, ევროკავშირის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG) პროექტის - „კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში" - ფარგლებში.

ამასთან, 2024 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ წამოიწყო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცნობიერების ამაღლების ახალი ინიციატივა. ორი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 300-მდე სტუდენტისთვის. შეხვედრებს უძღვებოდა სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს ხუთი ექსპერტი. აღნიშნულ შეხვედრების ორგანიზება ფინანსური ხარჯების გაწევას არ საჭიროებდა.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაციის უფროსი
ნანა ბერიძე